

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№1 (53) 2022

სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი
ნაშრომების კრებული

ჟურნალი რეფერირდება ქრჟ-ში „ქართული რეფერატული ჟურნალი“

სტუ-ს 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით
ინსტიტუტი ტექნიკური ჟურნალს
„ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ მიანიჭებს
ციფრულ იდენტიფიკატორს - DOI-ს



გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“
თბილისი
2022

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
TRANSPORT AND MACHINEBUILDING
ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ

სარედაქციო კოლეგია

პროფ. ოთარ გელაშვილი (მთავარი რედაქტორი); პროფ. არჩილ ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. თეა ბარამაშვილი (ტექნიკური რედაქტორი); პროფ. დავით თავხელიძე; პროფ. მანანა თალაკვაძე; პროფ. ნათია ბუთხუზი; პროფ. გივი გოლეთიანი; პროფ. თამაზ ნატრიაშვილი; პროფ. თამაზ მორჩაძე; პროფ. ალექსანდერ სლადკოვსკი (პოლონეთი); პროფ. გეორგი ტოხტარი (უკრაინა); პროფ. რაულ თურმანიძე; პროფ. ნია ნათბილაძე; პროფ. გოჩა ჩიტაიშვილი; პროფ. ზაურ ჩიტაიძე; პროფ. გოდერძი ტკეშელაშვილი; პროფ. ჯუმბერ იოსებიძე; პროფ. ავთანდილ შარვაშიძე; პროფ. ნუგზარ რურუა; პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. დავით ძოწენიძე.

EDITORIAL BOARD

Prof. OTAR GELASHVILI (editor-in-chief); Prof. ARCHIL PRANGISHVILI (deputy editor-in-chief); Prof. Tea Baramashvili (Technical Editor); Prof. Davit Tavkheldze; Prof. Manana Talakbadze; Prof. Natia Butkhuzi; Prof. Givi Goletiani; Prof. Tamaz Natriashvili; Prof. Tamaz Morchadze; Prof. Aleksander Sladkovski (Poland); Prof. George Tokhtar (Ukraine); Prof. Raul Turmanidze; Prof. Nia Natbiladze; Prof. Gocha chitaishvili; Prof. Zaur Chitidze; Prof. Goderdzy Tkeshelashvili; Prof. Jumber Iosebidge; Prof. Avtandil Sharvashidze; Prof. Nugzar Rurua; Prof. Zurab Bogvelishvili; Prof. David Dzotsenidze.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

проф. ОТАР ГЕЛАШВИЛИ (главный редактор); проф. АРЧИЛ ПРАНГИШВИЛИ (зам. главного редактора); проф. Теа Барамашвили (Технический редактор); проф. Давит Тавхелидзе; проф. Манана Талакбадзе; проф. Натиа Бутхузи; проф. Гиви Голетиани; проф. Тамаз Натриашвили; проф. Тамаз Морчадзе; проф. Александер Сладковски (Польша); проф. Георг Тохтар (Украина); проф. Раул Турманидзе; проф. Ниа Натбиладзе; проф. Гоча Читаишвили; проф. Заур Читидзе; проф. Годердзи Ткешелашвили; проф. Джумбер Иосебидзе; проф. Автандил Шарвашидзе; проф. Нугзар Руруа; проф. Зураб Богвелишвили; проф. Давид Дзоценидзе.

ტექნიკური რედაქტორი: პროფ. თეა ბარამაშვილი
Technical editor: Prof. Tea Baramashvili
Технический редактор: Проф. Теа Барамашвили

რედაქციის მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №71, I კორპუსი, ოთახი №710
Address of the editorial office: Tbilisi, M. Kostava Str. №71, I corpus, room №710
Адрес редакции: Тбилиси, М. Костава ул. №71, I корпус, комната №710
Tel: +995 551 611 611

ჟურნალი განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ცენტრალური ბიბლიოთეკა
http://gtu.ge/Library/transp_jur/
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
http://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manqanatmshenebloba.php
- ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>
- ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე)
<https://techinformi.ge/ge/?page=footer/qri>

შინაარსი

I. ტრანსპორტი/Transport/Транспорт

1. საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდის აქტუალურობა პეტრე ქენქაძე, ავთანდილ შარვაშიძე, გიორგი კაციტაძე	5
2. რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში რომან მორჩილაძე, ჯემალ მორჩილაძე, ვახტანგი კოპალეიშვილი	12
3. გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო ავტობუსების გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლება გაჩერებებს შორის მანძილების რაციონალურად დაგეგმვით დავით ფრიდონაშვილი, რევაზი რევაზიშვილი, ალექსი ჩიბირაშვილი	20
4. Исследование влияния циклов нагружения тормозов автомобиля на экологичность Варлам Лекиашвили, Нино Топурия, Валери Джаджанидзе, Димитри Балахадзе	25

II. მექანიკის ინჟინერია/Mechanical Engineering/Механическая инженерия

5. TO THE DYNAMIC RESEARCHER OF ELECTROMECHANICAL DRIVE WITH TAKING INTO ACCOUNT ELASTICITY OF LINKS IN THE MECHANICAL PART Tornike Kapanadze	30
6. Утилизация полимерных корпусов твердотопливных ракет с использованием экологически чистой технологии Мераб Швангирадзе, Гиორგი Цабаძე, Рамили Зукакишвили, Гиви Санаძე	37
7. მყარსათბობიანი რაკეტების პოლიმერული კორპუსების ჭრის ოპტიმალური რეჟიმების და მჭრელი იარაღის მუშაობის ხანგამძლეობის ექსპერიმენტული კვლევა მერაბ შვანგირაძე, რამილი ზუკაკიშვილი, გივი სანაძე, გიორგი ცაბაძე	44

III. სამრეწველო ინჟინერია/Industrial Engineering/ Промышленная инженерия

8. ჰიდრავლიკური დარტყმის მოვლენა მილსადენებში ალექსანდრე ყაველაშვილი	55
9. მექანიზმის დინამიკის კვლევა კინემატიკურ წყვილში ღრეჩობისა და დარტყმების გათვალისწინებით მურმან ხაჩიძე	62
10. მსუბუქი მერქანპოლიმერული კომპოზიტების ლენტური ხერხებით ხერხვის პროცესის ძალური პარამეტრების კვლევა (I ნაწილი) იგორ გელაშვილი, ზაურ ჩიტაძე, თემურ მონიავა, მაკა ჟლენტი, ეკა სარიშვილი, პაპუნა კაპანაძე	71
11. მძიმე მერქანპოლიმერული კომპოზიტების ლენტური ხერხებით ხერხვის პროცესის ძალური პარამეტრების კვლევა (II ნაწილი) იგორ გელაშვილი, ზაურ ჩიტაძე, თემურ მონიავა, მაკა ჟლენტი, ეკა სარიშვილი, პაპუნა კაპანაძე	80

IV. ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი/ Transport and Mechanical Engineering Management/Транспорт и машиностроение равление

12. საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობა და პერსპექტივა ნინო ოსაძე	86
13. რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბების პერსპექტივები საქართველოში ნინო ოსაძე	97
14. საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა და მისი გავლენა ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ნინო ოსაძე	102
15. ავტორთა საყურადღებოდ	108

უაკ 656.224

საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდის აქტუალობა პეტრე ქენქაძე*, ავთანდილ შარვაშიძე*, გიორგი კაციტაძე**

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №71, 0175, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: *სტატიაში განხილულია სატვირთო ვაგონი, როგორც საქართველოს რკინიგზაზე გადაზიდვითი პროცესის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება. მოყვანილია სატვირთო ვაგონის ინტენსიური გამოყენების გზები და საშუალებები; მისი გავლენა სატვირთო გადაზიდვების მოცულობაზე. სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდისათვის, დასაბუთებულია მოცემულ ეტაპზე ვაგონის ექსპლუატაციის პირობების გამოკვლევის აუცილებლობა და მისი ფუნქციონირების რაციონალური ფორმების დადგენა, საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.*

საკვანძო სიტყვები: სატვირთო ვაგონი, ტექნიკური აღჭურვილობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, ვაგონის მწარმოებლობა.

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყნად ჩამოყალიბების შემდეგ, იგი გადაიქცა დამაკავშირებელ ქვეყნად ევროპასა და აზიას შორის. შესაბამისად მისმა რკინიგზამ შეიძინა სატრანზიტო გზის სტატუსი. აღნიშნულმა გარემოებამ მოითხოვა რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მნიშვნელოვნად შეცვლა და მოდერნიზაცია, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გაზრდილი სატრანზიტო ტვირთნაკადის შეუფერხებელი გატარება. ამ მიზნით საქართველოს რკინიგზაზე განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური და საექსპლუატაციო-სამშენებლო ღონისძიებები, ყველაზე ნაკლებად შეეხო

სატვირთო ვაგონს, არადა ამ უკანასკნელის გავლენა რკინიგზის გადაზიდვით პროცესზე, მნიშვნელოვანია.

ძირითადი ნაწილი

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი საქართველოს რკინიგზა სრულიად განსხვავებულ რეჟიმში მუშაობს წინა პერიოდთან შედარებით. საქმე ისაა, რომ წინა პერიოდში საქართველოს (ამიერკავკასიის) რკინიგზა მიჩნეული იყო ჩიხობრივ გზად, ხოლო ახალი სტატუსით, სატრანზიტო გზის პირობებში, შესაბამისად შეიცვალა (ან შეცვლის პროცესშია) რკინიგზის მუშაობის უმნიშვნელოვანესი პარამეტრები.

საქართველოს რკინიგზის მუშაობის მოდერნიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბებამ, კონკრეტულად, ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალმა „ტრასეკას“ სახელით ცნობილმა საერთაშორისო დერეფანმა. ამ დერეფნის საშუალებით ხორციელდება შუა აზიიდან და ინდოჩინეთიდან წამოსული სატრანზიტო ტვირთების ტრანსპორტირება ევროპის ცენტრში და პირიქით.

საქართველოს რკინიგზის ფუნქციონირების მოცემულ ეტაპზე დაკმაყოფილებულია მისი ცენტრალური მიმართულების (თბილისი-ხაშური-ზესტაფონი-სამტრედია, სამტრედია-ბათუმი, სამტრედია-ფოთი) ცალკეული უბნებისათვის საჭირო ტექნიკური და გადაზიდვითი (საექსპლუატაციო) სიმძლავრეები, მაგრამ როგორც ანალიზი გვიჩვენებს [1], უახლოეს მომავალში, ტვირთნაკადების პერსპექტიული ზრდის პირობებში, აუცილებელი გახდება ამ სიმძლავრეების კიდევ უფრო ფა უფრო გაზრდა რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მოცულობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, ვიდრე უკანასკნელ პერიოდამდე, საქართველოს რკინიგზაზე დაინერგა, განხორციელდა და აპრობირებულ იქნა რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობისა და ექსპლუატაციის ინტენსიური გამოყენების მრავალი მეთოდი და საშუალება, მატარებელთა რეგულირების, გადაზიდვითი პროცესის განვითარების, ლოკომოტივების

გამოყენების, სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეებისა და კომფორტულობის დონეების ამაღლების, ადგილობრივი ტვირთების რაციონალური მიმოქცევისა და კიდევ მრავალ სფეროში. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მოიტანეს თავისი დადებითი შედეგები, რისი მკაფიო დასტურიცაა საქართველოს რკინიგზის ფუნქციონირების დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ყოველივე აღნიშნული არ შეხება (ან შეეხო ძალიან მცირე პროცენტით) რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორც სატვირთო ვაგონია.

სატვირთო ვაგონი არის სარკინიგზო ტრანსპორტის წარმატებული ექსპლუატაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. მისი რაციონალური ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რკინიგზის გადაზიდვით პროცესს. ვაგონის ფუნქციონირება ყოველთვის უკავშირდება ისეთ რეზულტატურ მაჩვენებელს, როგორცაა ეკონომიური ეფექტიანობა [2]. მაგალითისათვის განვიხილოთ ძალიან მოკლედ, თუ როგორ მიიღება ეკონომია ვაგონის ბრუნვის დაჩქარებით.

მათემატიკურად ვაგონის ბრუნვის განმსაზღვრელი ფორმულა ზოგადად, გამოისახება შემდეგი სახით [3]:


$$\vartheta = \frac{n_{\text{მუშ}}}{U}, \text{ დღელამე}; \quad (1)$$

სადაც $n_{\text{მუშ}}$ – სავაგონო მუშა პარკია;

U – დღელამის განმავლობაში გზის ტერიტორიაზე დატვირთული ვაგონების საერთო რაოდენობა (გზის ფარგლებში დატვირთული და მეზობელი გზებიდან შემოსული დატვირთული ვაგონების ჯამი, ანუ „გზის მუშაობა“).

როგორც ამ მარტივი ფორმულიდან ჩანს, ვაგონის ბრუნვის სიდიდე პირდაპირპროპორციულ კავშირშია სავაგონო მუშა პარკთან, ანუ მეზობელი გზებიდან შემოსული დატვირთული ვაგონების ფიქსირებული სიდიდის პირობებში ვაგონის ბრუნვის მეტი მნიშვნელობისას, საჭირო იქნება უფრო მეტი დასატვირთი ვაგონების რაოდენობა მუშა პარკიდან, ხოლო შედარებით ნაკლები მნიშვნელობის დროს – პირიქით, შემცირდება დასატვირთად გამოყოფილი

ვაგონების საჭირო რაოდენობა. აღნიშნული დამოკიდებულების გეომეტრიული ინტერპრეტაცია მოყვანილია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. საჭირო სავაგონო პარკის დამოკიდებულება ვაგონის ბრუნვის სიდიდეზე

როგორც ნახაზიდან ჩანს, ვაგონის ბრუნვის არსებულ ϑ სიდიდის დროს, სავაგონო მუშა პარკიდან დატვირთვაზე საჭიროა $n_{\text{მუშ}}$ რაოდენობის ვაგონი. თუ მივაღწევთ იმას, რომ დაჩქარდეს (შემცირდეს) ვაგონის ბრუნვა ϑ -დან ϑ' სიდიდემდე, ანუ $\Delta\vartheta$ დღეღამით, მაშინ მოთხოვნა ვაგონებზე მცირდება $n_{\text{მუშ}}$ -დან $n'_{\text{მუშ}}$ -მდე, ანუ $\Delta n_{\text{მუშ}}$ სიდიდით. ამ დროს რკინიგზის საჭირო გადაზიდვისუნარიანობის ($\Gamma_{\text{საჭ}}$) უზრუნველყოფა შესაძლებელია უკვე არა $n_{\text{მუშ}}$ სავაგონო პარკით, არანედ $n'_{\text{მუშ}}$ შემცირებული პარკით (რაც თავის მხრივ იძლევა სათანადო ეკონომიას), ხოლო თუ გამონთავისუფლებულ სავაგონო სავაგონო პარკს ($\Delta n_{\text{მუშ}}$) გამოვიყენებთ ზედმეტი (დამატებითი) დატვირთვის განსახორციელებლად,

მაშინ საჭირო გადაზიდვისუნარიანობა იზრდება $\Gamma_{საჭ}$ სიდიდიდან Γ' სიდიდემდე, ანუ $\Delta\Gamma$ ტონით, რაც საბოლოო ჯამში ზრდის ეკონომიკურ ეფექტს. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ სატვირთო ვაგონის რაციონალური ექსპლუატაციის, ანუ მისი ეფექტური გამოყენების მიზნით, მოწინავე „სარკინიგზო“ ქვეყნებში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები, სათანადო შედეგებით. ვთვლით, რომ ამ კუთხით საქართველოს რკინიგზის რეალობაში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიებები.

სატვირთო ვაგონის ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია ვაგონის მწარმოებლურობა. ამ სიდიდის გაზრდა პირდაპირ კავშირშია სატვირთო გადაზიდვების მოცულობის ამაღლებასთან, შესაბამისი ეკონომიკური ეფექტით. ვაგონის მწარმოებლურობა არის ცნება, რომელიც აერთიანებს ვაგონის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ მრავალ ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და საექსპლუატაციო პარამეტრს [4]. ამ პარამეტრების ოპტიმიზაცია საფუძველია რკინიგზის სიმძლავრის (გამტარ- და გადაზიდვის-უნარიანობა) გაზრდისა. აღნიშნული პარამეტრებიდან მოვიყვანთ ძირითადს: ვაგონის საშუალო სტატიკური დატვირთვა, ვაგონის ცარიელი გარბენები, მატარებლის მოძრაობის სიჩქარეები, ვაგონის დატვირთული რეისი, სატვირთო და ტექნიკურ ოპერაციებზე ვაგონთა მოცდენები, გადაზიდვების (გადასაზიდი ტვირთების) რაციონალიზაცია. გარდა მოყვანილი პარამეტრებისა, ვაგონის მწარმოებლურობაზე (და მის გაზრდაზე) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტექნიკური აღჭურვილობის ელემენტები და თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიები, როგორცაა ვაგონის ტარაწონის შემცირება, ვაგონ- და მატარებელნაკადების შემჭიდროებული და დაჩქარებული გატარება უბნებზე და სხვ.

ზემოთ აღნიშნულის ფონზე საქართველოს რკინიგზის პირობებში, სატვირთო ვაგონის მაქსიმალური მწარმოებლურობა მიღებული უნდა იქნეს მასზე უარყოფითი გავლენის მქონე პარამეტრების მინიმალური მნიშვნელობების პირობებში. ასეთი პარამეტრების მინიმიზაცია, თუნდაც მათში ჩართული ელემენტების მრავალფეროვნების გამო, იქნება გადასაჭრელ ამოცანათა შორის

ერთ-ერთი ურთულესი, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს რკინიგზის ექსპლუატაციის სტატიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და საჭირო სიდიდეების ურთიერთდაკავშირებით, შესაძლებელი გახდება ამ პრობლემის წარმატებული გადაჭრა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს რკინიგზის განვითარების მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნეს სატვირთო ვაგონების ექსპლუატაციის პირობები, დადგინდეს მისი ფუნქციონირების რაციონალური ფორმები ვაგონის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით, რაც საბოლოო ჯამში იქნებოდა საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო ვაგონის მწარმოებლურობის გაზრდის აქტუალურობა, ეჭვს არ იწვევს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. პ. ქენჭაძე, გ. თელია, კ. შარვაშიძე - მოცემულ ეტაპზე საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე რეალურად რეალიზებული სიმძლავრისა და მისი გაზრდის ღონისძიებათა შესახებ; საერთაშორისო კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ შრომათა კრებულიდან; თბილისი; „ტექნიკური უნივერსიტეტი“; 2014წ.; 300-303 გვ.;
2. ლ. ვარდოსანიძე - რკინიგზის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები; თბილისი; „განათლება“; 1993წ.; 237 გვ.;
3. პ. ქენჭაძე - სარკინიგზო ტრანსპორტი; თბილისი; „სფინქსი“; 2001წ.; 155 გვ.;
4. Лукин В.В., Анисимов П.С., Федосеев Ю.П. - Вагоны (общий курс); Москва; изд. «Маршрут»; 2004г.; 424 с.

**The relevance of increasing the productivity of freight cars
on the Georgian Railway**

Petre Kenkadze, Avtandil Sharvashidze, Giorgi Katsitadze

Abstract

The article considers a freight car as one of the mandatory means of carrying out the transportation process on the Georgian Railway. Ways and means of intensive use of a freight car are given; its impact on the volume of freight traffic. In order to increase the productivity of a freight car, it is justified at this stage the need to study the operating conditions and establish rational forms of its functioning, in order to increase the efficiency of freight traffic on the Georgian Railway.

**Актуальность повышения производительности грузовых вагонов
на Грузинской железной дороге**

Петре Кенкадзе, Автандил Шарвашидзе, Георгий Кацитадзе

Резюме

В статье рассматривается грузовой вагон, как один из обязательных средств осуществления перевозочного процесса на Грузинской железной дороге. Приводятся пути и средства интенсивного использования грузового вагона; его влияние на объеме грузовых перевозок. Для увелечения производительности грузового вагона, обоснована на данном этапе необходимость исследования эксплуатационных условия и установления рациональных форм его функционирования, с целью повышения эффективности грузовых перевозок на Грузинской железной дороге.

უაკ 656.2(075.8)

**რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის
თავისებურებანი თანამედროვე პირობებში
რომან მორჩილაძე*, ჯემალ მორჩილაძე**, ვახტანგი კოპალეიშვილი*****

**ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

****მაგისტრანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №71, 0175, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზის მახარისხებელი სადგურის მუშაობის თავისებურებანი ტვირთნაკადის მოცულობათა ცვალებადობის პირობებში. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის (ლოკომოტივები, ვაგონები) ეფექტიანი გამოყენების მიზნით განხილულია მათი მუშაობის პარამეტრები და ის მოთხოვნები, რომელთა გატარების შემთხვევაში გაუმჯობესდება ერთმაგი და ორმაგი სატვირთო ოპერაციები, დაჩქარდება ვაგონების ბრუნვა და შემცირდება უშედეგოდ გაწეული საექსპლუატაციო დანახარჯები.

საკვანძო სიტყვები: ლოკომოტივების მწარმოებლობა, ორმაგი სატვირთო ოპერაცია, ვაგონნაკადების გადამუშავების ნაკადურობა.

შესავალი

რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ გამართულობასა და ვაგონების დაცლა-დატვირთვის ოპერაციების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით მახარისხებელი სადგური იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და სხვა კატეგორიის მცირე სადგურები

მუდმივად უნდა ახდენდეს მახარისხებლის უზრუნველყოფას შესაბამისი კონსტრუქციულობის ვაგონებით მუშა პარკის შევსებას.

რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში


სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაციას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მისი ყველა ქვედარგის ტექნიკურ საშუალებათა განვითარების ეფექტურობა და შესაბამისიკატეგორიის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

თანამედროვე პირობებში რკინიგზის სპეციფიკიდან გამომდინარე, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვეყნოთ ვაგონნაკადების შესწავლა და მატარებელთა მოძრაობის მიმართულებების სეზონური და სადღეღამისო გრაფიკების შედგენა. ასევე გასაანალიზებელია საექსპლუატაციო მუშაობის მაჩვენებელთა ცვალებადობის ძირითადი მიზეზები, ვაგონთა ბრუნვის დაჩქარების შემადგენელი ნაწილების მდგომარეობა, სადგურების სალიანდაგო პარკის განვითარების დონე (სიმძლავრე), გადასარბენების სალიანდაგო და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების მაჩვენებლები, საექსპლუატაციო მუშაობის საექსპერტო შეფასება და სხვა.

საქართველოს რკინიგზის (როგორც აზიისა და ევროპის სარკინიგზო კორიდორის) განვითარება მოიცავს სხვადასხვა პროცესების დახვეწას და სრულყოფას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გადაზიდვითი პროცესის ოპერატიული მართვის ავტომატიზირებული სისტემა, მატარებელთა მასისა და სიგრძის გაზრდა, რკინიგზის ქსელის სტრუქტურული სრულყოფა, მოძრავი შემადგენლობის (ლოკომოტივი, ვაგონი) მიმდინარე და გეგმიური შეკეთების ხარისხის ამაღლება, ხაზების გამტარობის უნარის გაანგარიშებათა მეთოდების განვითარება, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ტექნიკური ნორმირება და ძირითად მაჩვენებელთა შერჩევა.

საექსპლუატაციო მუშაობის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია სალოკომოტივო და სავაგონო პარკების ტექნიკური

გამართულობა. ლოკომოტივების შემკეთებელ და ვაგონსარემონტო დეპოებში პერიოდულად უნდა ინერგებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლენი და პროგრესული ტექნოლოგიები. ვაგონშემკეთებელ საწარმოებში ხარისხიანი შეკეთების უზრუნველყოფა განაპირობებს სავაგონო პარკის უკეთ გამოყენებას.



ნახ. 1. სადგურში ვაგონების დაყოვნების დროის ხანგრძლივობის დამოკიდებულება გადასამუშავებელ ვაგონნაკადზე

ვაგონების გამოყენების და მათი მწარმოებლურობის გაზრდაში დიდი როლი აკისრია არა მარტო მათ გამართულობას, არამედ ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლებს და ვაგონების მოცდენის შემცირებას საუბნო და მახარისხებელ სადგურებზე. ხშირია შემთხვევები, როცა ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლები ვერ ფლობენ ვაგონების გამოყენების პარამეტრებს და არასწორი ტექნოლოგიით განხორციელებული დატვირთვა ან დაცლა იწვევს მათ დაზიანებას, ხოლო ამ და სხვა მიზეზებით ვაგონთა მოცდენის შესამცირებლად ტექნიკურ სადგურებზე, განსაკუთრებით

მახარისხებელში, რაციონალურად და სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამ სადგურის ტექნიკური შესაძლებლობები და არსებული რეზერვები, უმჯობესდებოდეს შრომის ორგანიზაცია და მექანიზაცია, მალღებოდეს მუშაობის ინტენსიფიკაციის დონე.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მახარისხებელი სადგურის მუშაობის მართვა ანუ ვაგონნაკადების გადამუშავების ნაკადურობის უზრუნველყოფა, სარეგულირებელ ღონისძიებათა პარამეტრების შერჩევა (დადგენა) და მართვის ავტომატიზაცია (ნახ. 1).


მახარისხებელ სადგურში სატვირთო ვაგონების მუშა პარკი, როგორც წესი, მოიცავს დატვირთულ, ცარიელ, სატრანზიტო და ადგილობრივ ვაგონებს. შესრულებული სატვირთო ოპერაციები შეიძლება იყოს ერთმაგი ან ორმაგი. ერთმაგი ოპერაციის დროს ვაგონის ბრუნვის სრული ციკლის პერიოდში მნიშვნელოვანი დრო იხარჯება ცარიელი რეისის შესრულებაზე, ხოლო ორმაგი სატვირთო ოპერაციის დროს, ბრუნვის სრული ციკლის პერიოდში, გამოირიცხება ვაგონის ცარიელი გარბენა, რის შედეგადაც დაჩქარდება ვაგონის ბრუნვა და შესაბამისად შემცირდება უშედეგოდ გაწეული საექსპლუატაციო ხარჯები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ვაგონის დაცლის შემდეგ იმავე სადგურში დასატვირთად მის გამოყენებას.

საქართველოს რკინიგზაზე ორმაგი სატვირთო ოპერაციების განხორციელების დიდ შანსს იძლევა ფოთის და თბილისი-მახარისხებლის სადგურები. ორმაგი ოპერაციების მაქსიმალურად დანერგვის შემთხვევაში იზრდება ვაგონის მწარმოებლურობა და ლოკომოტივის მუშაობის საექსპლუატაციო მახასიათებლები, როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი.

სატვირთო ოპერაციების წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია სავაგონო პარკის მუდმივად გამართულ მდგომარეობაში შენახვა. ამ მიზნით მახარისხებელ სადგურთან ფუნქციონირებს ვაგონების მიმდინარე შეკეთების მექანიზირებული პუნქტი, რომლის აღჭურვაც თანამედროვე ტექნოლოგიით განაპირობებს ვაგონებში დაზიანებების აღმოფხვრას მინიმალურ დროში. პუნქტი უნდა მოიცავდეს შემდეგ მოწყობილობა-დანადგარებს (ნახ. 2).

მექანიზირებულ პუნქტში ვაგონების რემონტი მიზანშეწონილია განხორციელდეს ახალი დეტალებით ან წინასწარ გარემონტებულით ჩანაცვლების პრინციპით, რათა არ მოხდეს ვაგონების გაუთვალისწინებელი მოცდენა. მიმდინარე შეკეთებაში ვაგონი არ უნდა დაყოვნდეს 1–3 სთ-ზე მეტს.

გადაზიდვითი პროცესების სრულყოფის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოძრავი შემადგენლობის (ლოკომოტივი, ვაგონი) გამართულობის მაღალი დონე და საიმედოობა.



ნახ. 2. მახარისხებელი სადგურის ვაგონების მიმდინარე ახსნითი შეკეთების მექანიზირებული პუნქტის სქემა

1. მექანიკური განყოფილება; 2. შედუღების უბანი; 3. ლითონის დასამუშავებელი უბანი;
4. საზეინკლო განყოფილება; 5. შრომის იარაღების განყოფილება;
6. ავტოტრანსპორტის მისასვლელი გზა; 7. საქვაბე; 8. მასალის და მარაგი ნაწილების საწყობი; 9. ქვესადგური; 10. ჰაერგამყვანი; 11. ურიკების სარემონტო პოზიცია;
12. ურიკების და წყვილთვლების მარაგის ლიანდაგი; 13. ასფალტირებული გზა;
14. მშთანთქმელი აპარატის დასაყენებელი ამწე; 15. ჩამკეტი ძელები; 16. სარემონტო ვაგონები; 17. ვაგონების სარემონტო პოზიციები; 18. ხარიხა ამწე;
19. ელექტროშედუღების ხაზი; 20. ძალური ელექტროხაზი; 21. შედუღების ტრანსფორმატორი; 22. დომკრატები; 23, 24, 25, 26, 27, 28. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ოთახები

გასული წლის ექვსი თვის სტატისტიკის მიხედვით ექსპლუატაციის პროცესში ელმავლების დაზიანებათა უმეტესი რაოდენობა წარმოადგენს ელექტროაპარატურის და წვევის ძრავების დაზიანებას (30–30 შემთხვევა), რაც შეადგენს საერთო დაზიანებათა 28%-ს. აღნიშნულის გამო მატარებელთა მოძაობა განახლდა 1 სთ-ზე მეტ დროში დამხმარე ლოკომოტივის გამოყენებით. მსგავსი შემთხვევები უარყოფითად აისახება ლოკომოტივების გამოყენების ისეთ ხარისხობრივ მაჩვენებელზე, როგორცაა ლოკომოტივის ბრუნვა, წყვილ მატარებელზე ლოკომოტივ-დღე-ღამის ხარჯი, ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა და მწარმოებლობა.

გასული წლის დროის იგივე პერიოდში სავაგონო მეურნეობაში მოძრავი შემადგენლობის დაზიანებათა უმეტესი რაოდენობა წარმოადგენს საბუქსე კვანძის და სამუხრუჭო სისტემის გაუმართაობას (35–15 შემთხვევა), რაც შეადგენს საერთო დაზიანებათა 45%-ს.

როგორც მოკლე ანალიზიდან ჩანს, საქართველოს რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობაში დღეისათვის მეტად საყურადღებოა მოძრავი შემადგენლობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დაბალი დონე.

მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დონის ამაღლების პარალელურად უკეთესი საექსპლუატაციო მაჩვენებლები მიიღება თუ მოხდება ვაგონების დატვირთულობის და მწარმოებლობის ამაღლება. დატვირთულობის მაქსიმალური გამოყენებით ტვირთიდან განხორციელდება მუშა პარკის ვაგონების მინიმალური რაოდენობით, რაც მოგვცემს სავაგონო პარკის ექსპლუატაციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და მატარებელთა მასის გაზრდისა და გადაზიდვის თვითღირებულების შემცირების საშუალებას. გარდა ამისა ვაგონების შემცირებული პარკით მუშაობა მახარისხებელ (და სხვა) სადგურებს საშუალებას მისცემს შექმნას განსაზღვრული რეზერვები გორაკის და გამწევი ლიანდაგების გადამუშავების უნარში, შეამციროს სამანევრო ლოკომოტივების რაოდენობა და სადგურის ლიანდაგების, განსაკუთრებით მახარისხებელი, საჭირო ტევადობა. რაც შეეხება ტვირთამწეობის და მწარმოებლობის ამაღლებას, იგი არ მოითხოვს დამატებით ტექნიკური დონისძიების გატარებას და საკმარისი იქნება

რიგი ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, როგორცაა: ვაგონში დატვირთვების რაციონალური განლაგება, ერთ ვაგონში მძიმეწონიანი და მსუბუქი ტვირთების შემჭიდროებული დატვირთვა და სხვა.

დასკვნა

საქართველოს რკინიგზის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია ორმაგი სატვირთო ოპერაციების გაზრდა სარკინიგზო მაგისტრალის ძირითად მნიშვნელობაზე. ამავდროულად უნდა შეიქმნას სატვირთო სავაგონო პარკის ის რაოდენობა, რომელიც თავისი ტექნიკური მდგომარეობით უზრუნველყოფს შეუფერხებელ მოძრაობას მაქსიმალური დატვირთვის პირობებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ა. ჩხაიძე, გ. ჩხაიძე, გ. თელია - სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის სრულყოფისა და სადგურთა განვითარების აქტუალური პრობლემები; თბილისი; 2003. – 432 გვ.;
2. რ. მორჩილაძე, ა. შარვაშიძე, დ. გოგიშვილი - ვაგონების ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე შეკეთება; თბილისი; „ტექნიკური უნივერსიტეტი“; 2018წ.; 152 გვ.;
3. გ. თელია, დ. გოგიშვილი - დამხარისხებელ სადგურთა მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა; სტუ-ს შრომები; №2 (413); 1997წ.; გვ 146-150.

Features Exploitation of iron ore in modern conditions

Roman Morchiladze, Jemal Morchiladze,

Vakhtangi Kopaleishvili

Abstract

The article deals with the work of the Tbilisi marshalling yard of the Georgian Railway in modern conditions. The possibility of efficient use of rolling stock (locomotives, wagons), as well as the use of a double cargo operation, in order to improve the turnover of the wagon and reduce operating costs, is considered.

Особенности эксплуатационной работы железной дороги

на современнот этапе

Роман Морчиладзе, Джемал Морчиладзе,

Вахтанგი Копалеишвили

Резюме

В статье изложены вопросы работы сортировочной станции Тбилиси Грузинской железной дороги в современных условиях. Рассмотрен возможность эффективного использования подвижного состава (локомотивов, вагонов), а также применя двойной грузовой операции, с целью улучшения оборота вагона и сокращения эксплуатационных расходов.

უაკ 629.113.004

**გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო
ავტობუსების გადაზიდვების ეფექტურობის
ამაღლება გაჩერებებს შორის მანძილების
რაციონალურად დაგეგმვით
დავით ფრიდონაშვილი*, რევაზი რევაზიშვილი**,
ალექსი ჩიბირაშვილი*****

** ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

*** მაგისტრანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

**** ბაკალავრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)**

რეზიუმე: სტატიაში წარმოდგენილია საქალაქო ავტობუსების გადაზიდვების ეფექტურობის შემცირების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად არსებულ ღონისძიებათა შორის უპირატესობა მინიჭებული აქვს საერთო სარგებლობის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის სპეციალური ზოლების გამოყოფას. დასახელებულ პროცესში გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი და პარამეტრი, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის კვლევისა და ქ. თბილისში არსებულ მარშრუტებზე დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილების გაზომვების შემდეგ წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქალაქო ავტობუსების გადაზიდვების ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: საქალაქო ავტობუსი, გამოყოფილი ზოლი, გაჩერებებს შორის მანძილი, გადაზიდვის ეფექტურობა.

შესავალი

მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ტრანსპორტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გადაზიდვებზე მზარდ

მოთხოვნათა სრული, ხარისხოვანი და დროული დაკმაყოფილება. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საავტომობილო ტრანსპორტის ისეთ სახეობას, როგორცაა საქალაქო ავტობუსები, რომელთა ტექნიკური განვითარება ხდებოდა და ხდება ზედმიწევნით ჩქარი ტემპებით. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ტრანსპორტის აღნიშნულ ქვედარგს ფუნქციონირების პროცესში აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. ობიექტური:

- მოსახლეობის გადაადგილებაზე მოთხოვნილების ზრდა;
- ინდივიდუალური ტრანსპორტის ინტენსივობის ზრდა;
- დისპროპორცია ავტომობილიზაციის ზრდის და საგზაო

ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპებს შორის და სხვა.

2. სუბიექტური:

- საგზაო-სატრანსპორტო კომპლექსის ორგანიზაციისა და მართვის სისტემის არასრულყოფილება;
- ქალაქის სატრანსპორტო სისტემის მართვის საკანონმდებლო ბაზა;
- ადამიანური ფაქტორების ნეგატიური გავლენა და სხვ.

ზემოთ დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად გამოქვეყნებულ ლიტერატურაში დასახულია მრავალი ღონისძიება, რომელთაგან, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანია საგზაო-სატრანსპორტო ქსელის დატვირთვის შემცირება საერთო სარგებლობის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის უპირატესობის მინიჭებით მოძრაობის პროცესში. ამისათვის კი საჭიროა სპეციალური ზოლების გამოყოფა დასახელებული მოძრავი შემადგენლობისათვის. ამიტომ აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომი აქტუალური და აუცილებელია.

ძირითადი ნაწილი

მთელი რიგი მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ საქალაქო ავტობუსების გადაზიდვების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა მათთვის სპეციალური ზოლების გამოყოფა. აღნიშნული პროცესი მოიცავს მრავალ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებას და საჭიროებს მნიშვნელოვან

ეკონომიკურ დანახარჯებს. ამიტომ მისი განხორციელებისას საჭიროა მრავალი ფაქტორისა და პარამეტრის გათვალისწინება, რომელთა შორისაც მეტად მნიშვნელოვანია დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქალაქო ავტობუსების გამოყოფილ ზოლებში მოძრაობის სიჩქარის დამოკიდებულება დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილისგან

გაჩერებებს შორის მანძილი (კმ)	გაჩერებების რაოდენობა მარშრუტის 1 კმ-ზე	მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ	
		გაჩერებაზე დგომის დრო 20 წმ	გაჩერებაზე დგომის დრო 30 წმ
0,40	2,50	29	26
0,80	1,24	40	35
1,61	0,62	55	50
2,41	0,43	68	61
3,22	0,31	71	65

დასახელებული სიდიდის ოპტიმალური მნიშვნელობის შერჩევას დასაკმაყოფილებელია ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები. მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის საჭიროა დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი იყოს რაც შეიძლება მცირე, ხოლო ავტოსატრანსპორტო საწარმოებისათვის კი მიზანშეწონილია აღნიშნული სიდიდის გაზრდა. დასახელებულ პრობლემას სხვადასხვა ქვეყნებში წყვეტენ სხვადასხვანაირად.

მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში გამოყოფილ ზოლებში დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი იცვლება 350 მ-დან 2200 მეტრამდე, აშშ-ში კი საშუალოდ შეადგენს 800...1600 მ-ს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყურადსაღებია ქ. თბილისის მერიის გადაწყვეტილება 10 სატრანზიტო დერეფნის გამოყოფის შესახებ.(3) ნაწილი დღეისათვის უკვე ამოქმედებულია, ნაწილი განხორციელების პროცესშია.

წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციის პროცესის ეფექტურობის დასადგენად და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევის მიზნით გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს დატვირთული უბნების კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს (1).

გამოყოფილი 10 დერეფანი (საავტომობუსო ზოლი) გადის 23 ქუჩაზე. ამათგან 15 ქუჩაზე (თამარაშვილის, დადიანის, გურამიშვილის გამზ., წერეთლის გამზ. და

სხვ.) გადის 1 ან 2 გამოყოფილი ზოლი, ხოლო 5 ქუჩაზე (ხიზანიშვილის, ლიუბლიანის, ჭავჭავაძის გამზ. და სხვ.) გადის 3 გამოყოფილი ზოლი. ყველაზე დატვირთული აღმოჩნდა სამი ქუჩა: რუსთაველის გამზირი (6 გამოყოფილი ზოლი), ვაჟა-ფშაველას გამზირი და უნივერსიტეტის ქუჩა 5-5 გამოყოფილი ზოლით. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო ავტობუსების ეფექტურობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილები. ამიტომ ჩვენს მიერ გაზომილ იქნა დასახელებულ სამ ქუჩაზე არსებულ დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილები. შედეგები წარმოდგენილია ცხრ. №2-ში.

ცხრილი 2

დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილების ინტერვალი (მ)	< 300	300...350	350...400	400...450	>450
მათი რაოდენობა	8	3	3	2	4
ხვედრითი წილი (%)	40	15	15	10	20

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ ქ. თბილისში აუცილებლად უნდა განხორციელდეს საქალაქო ავტობუსების დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილების კორექტირება.

დასკვნა

გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლების მიზნით რეკომენდირებულია დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი იყოს 600...800 მეტრის დიაპაზონში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ფრიდონაშვილი, ზ. ბოგველიშვილი, ნ. ბუთხუზი - გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო ავტობუსების წევით-დინამიკური თვისებების გაუმჯობესება; ს/ტ ქურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“; თბილისი; №3, 2020წ., გვ. 40-44;
2. Придонашвили Д. - Методика создания характерного маршрута и ее конкретная реализация на примере г. Тбилиси; Н/т журнал «Транспорт»; Тбилиси; №3-4; 2008г.; с. 21-22;
3. <https://netgazeti.ge/news/477881/>

**Carriage efficiency improvement for city buses cruising in designated lanes
through rational planning of distances between stops**

Davit Pridonashvili, Revaz Revazishvili, Aleksi Chibirashvili

Abstract

External and internal reasons of city bus carriage efficiency reduction are presented in the article. Among the available measures intended for solving the mentioned problems a preference is given to allocation of special lanes for route vehicles of general use. In the mentioned process lots of factors and parameters have to be taken into account, among which the distance between stops is the most important. Following the research of available literature on the mentioned issue and measurement of distances between stops planned at the routes existing in Tbilisi the recommendation is made, fulfillment of which will substantially improve the city bus carriage efficiency.

**Повышение эффективности перевозок городскими автобусами,
работающими в выделенных полосах, путем рационального
планирования расстояния между остановками**

**Давид Придонашвили, Реваз Ревазишвили,
Алекси Чибирашвили**

Резюме

В статье представлены объективные и субъективные причины уменьшения эффективности перевозок городскими автобусами. Среди имеющихся для решения указанной проблемы мер предпочтение отдано выделению специальных полос для маршрутных транспортных средств общего пользования. В упомянутом процессе необходимо учесть множество факторов и параметров, среди которых самым важным является расстояние между остановками. После исследования существующей литературы по данному вопросу и измерения расстояний между остановками, запланированными на существующих маршрутах в г. Тбилиси, представлена рекомендация, выполнение которой существенно увеличит эффективность перевозок городскими автобусами.

УДК 629.113.004

Исследование влияния циклов нагружения тормозов автомобиля на экологичность

Варлам Лекиашвили*, Нино Топурия, Валери Джаджанидзе**,
Димитри Балахадзе*****

**Профессор, Грузинского технического университета;*

***Ассоциированный профессор, Грузинского технического университета;*

****Докторант, Грузинского технического университета*

**(Грузинский Технический Университет, ул. Костава №71, 0175,
Тбилиси, Грузия)**

Резюме: *Разработан метод определения количества вредных веществ, выделяемых при работе тормозным механизмом транспортного средства. Интенсивность износа ручек тормозного механизма определяют по количеству тормозов (циклических нагрузок). Определены закономерности распределения ресурса тормозных колодок и его параметры. Определение количества вещества, полученного в результате износа, основывалось на значениях начального снижения массы пробега на 1000 км.*

Ключевые слова: Тормозные накладки, количество торможения, выделяемое вещество, ресурсы накладок, надежность системы, интенсивность изнашивания.

Введение

При рассмотрении проблемных по экологической безопасности автомобилей, наряду вредных компонентов, выделяемых двигателями внутреннего сгорания, важное значение имеет так же вредные вещества, получаемые в следствии износа фрикционных накладок тормозные механизмов автомобилей. Это в первую очередь относится к автомобилям и автопоездам средней и большой грузоподъемности, которые составляют значительную часть транспортных потоков автомагистралей как пригородных так и междугородных и международных перевозках.

Основная часть

К силам, противодействующим движению автомобиля, относятся как естественные силы – силы сопротивления качению, воздуха, подъему и силы трения, возникающие агрегатах трансмиссии и двигателя автомобиля, - так и искусственные,

создаваемые тормозными механизмами для регулирования (снижения) скорости автомобиля или его экстремальной остановки – тормозные силы.

Тормозное действие естественных сил в обычных дорожных условиях сравнительно невелико, экспериментальных установлено, что при торможении автомобиля со скорости менее 100 км/ч, величина силы сопротивления качению колес, воздуха и трансмиси автомобиля не превышает 8-10% от полной силы сопротивления движению, которую можно создать при помощи колесных тормозов.

Наиболее эффективное торможение создается специальными тормозными механизмами, действующими на колеса автомобиля. При этом торможение автомобиля должно осуществляться так, чтобы максимальная эффективность достигалась одновременно с сохранением устойчивости и управляемости автомобиля. Эта задача решается путем определенного распределения тормозных сил между колесами и осями автомобиля. Оптимальным распределением тормозных сил по осям автомобиля считается такое, при котором в процессе торможения все колеса автомобиля одновременно доводятся до границы блокирования. Практически такой процесс торможения требует переменного соотношения тормозных сил в зависимости от дорожных условий, оцениваемых коэффициентом сцепления – ϕ .

Рабочие тормоза выполняются фрикционными, барабанного и дискового типа. Барабанные тормоза автомобилей изготавливаются с внутренним расположением двух колодок. Каждая колодка может быть установлена так, что силы трения на ее поверхности будут усиливать прижатие колодки к барабану при торможении. Тормозной момент, создаваемый каждой колодкой, будет определяться соотношением геометрических размеров тормозов и средним коэффициентом трения – и фрикционной пары. Для изготовления накладок применяется асбестовое волокно с наполнителями и связующим веществом. Технологически современные накладки автомобильных тормозов изготавливают преимущественно методом горячего формования из кротковолокнистого асбеста с различными наполнителями: окись цинка, железный сурик и др. В качестве связующего вещества используются синтетические смолы или каучук в комбинации с регенератом. Формование производится в пресформах при определенных давлениях и температурах, формование позволяет создавать накладки с переменной толщиной слоя, соответственно различной степени изнашивания накладки по дуге окружности колодки барабанного тормоза. Профилированные накладки обеспечивают наиболее экономное расходование фрикционных материалов, прочих производстве и рациональное использование накладок в эксплуатации.

Физико-механические качества фрикционных материалов оцениваются рядом показателей из которых важнейшим являются: коэффициент трения, износостойкость и теплостойкость.

Коэффициент трения должен быть достаточно высоким и стабильным (не ниже 0,37-0,40) некоторые материалы имеют высокие значения и достигающие 0,48. Что касается теплостойкости более стабильным коэффициент сохраняется в диапазоне температур до 200-230°C, с увеличением температуры наблюдается резкое падение коэффициента трения и момента T_m тормоза.

Перегрев тормозов вызывает необратимые процессы в материалах фрикционной пары: износостойкости тормоза, появление температурных трещин, изменение фракционных свойств тормоза и др. Испытания тормозов большегрузных автопоездов показали, что интенсивность износа после нагрева примерно 5 раз больше, чем в исходном состоянии (0,2 и 1,0 мм на 1000 км пробега).




Рис. 1. Распределение циклов нагружения тормозов автопоездов, работающих на междугородних перевозках.

С целью определения циклов нагружения тормозов (количество торможения на км пробега автомобилей были выполнены специальные эксперименты на автопоездах работающих междугородних перевозках). Статистические данные по количеству торможения были обработаны и построены диаграммы их распределения (рис.1).

Обработки этих данных показали, что по нормальному закону распределения среднее значение количества торможения составляет 6,7 единиц с коэффициентным вариации $V=0,31$ и среднеквадратическим отклонением 2,77.

Анализ результатов по исследованию показателей надежности тормозных систем автомобилей с пневматическим приводом в указанных условиях эксплуатации показали, что ресурсы тормозных колодок распределены по закону Вейбула со средним значением $L_k=45$ тыс. км. и коэффициентов $V=0,42$ для породных тормозных механизмов и 52.0 тыс. км, $V=0,44$ для задних тормозных механизмов.

Как было указано выше, интенсивность износа при средней температуре нагрева тормозов составляет примерно $0,25$ мм на 1000 км пробега. При достижении предельного состояния, т.е. за ресурс колодки износ составит $L_k. 0,25$ мм. По данным результатов исследования – это около 80% от общей толщины колодок. По справочным данным вес колодки составляет $2,5-3,5$ кг. В перерасчете по износу мм-ах с учетом остаточного ресурса около 80% веса изнашивается и выделяется в наружу. Выделяется масса определяется следующим образом:

$$G = \frac{G_k \cdot P_k \cdot K_{пр}}{1000 (N_T)} \text{ кг} \quad (1)$$

Где S_k – вес одной колодки

P_k – количество колодок на автомобиле

$K_{пр}$ – процент износа от веса колодок

N_T – количество торможения за км. пробега

К примеру автомобиля тягача с полуприцепом Исследуемая величина будет:

$$G = \frac{2,5 \cdot 36 \cdot 0,8}{1000 (6500)} = 0,072 \text{ кг} \quad (2)$$

Заключение

Исследованием установлено, что один автомобиль тягач с полуприцепом, работающих на междугородных перевозках в результате износа тормозных накладок выделяет примерно 72 гр. вредных веществ за 1000 км пробега.

Литература

1. Филькин Н.М., Шаихов Р.Ф., Буянов И.П. (2016) Основы теории исследования эксплуатационных свойств автомобиля 242. Пермь;
2. Денисов, В. Н.; Рогалев, В. А. (2003) Проблемы экологизации автомобильного транспорта. 213. Санкт-Петербург: МАНЭБ;

3. Полуэктов, М. В.; Ревин, А. А. (2003) Исследование влияния АБС на ресурс тормозных цилиндров колес автомобиля, в кн.: Автомобильный транспорт в XXI веке: Сборник научных статей Международной научно-технической конференции. Нижний 130–131. Новгород: НГТУ;
4. «БЕЗОПАСНОСТЬ КОЛЁСНЫХ ТРАНСПОРТНЫХ СРЕДСТВ В УСЛОВИЯХ ЭКСПЛУАТАЦИИ» (2017) Материалы 99-й международной научно-технической конференции.

**Impact of vehicle braking system environment
Varlam Lekiasvili, Nino Topuria, Valeri Jajanidze,
Dimitri Balakhadze**

Abstract

